

90-იანი წლების დასაწყისი წყალტუბო, საქართველო - ქალაქი იმერეთის რეგიონის დედაქალაქის, ქუთაისი მახლობლად. ქვეყანაში სახელგანთქმული კურორტი, სტალინის საყვარელი ადგილიც იყო, რომელსაც აყვავების პერიოდში სიამოვნებით სტუმრობდა ხოლმე. ისტორიზებული არქიტექტურული კომპლექსები, 1939-1955 წლებში სტალინისთვის გამორჩეული, ნეო-კლასიციზტური სტილის მიხედვით აიგო. საბჭოთა კავშირის დაშლას კედლების და საზოგადოებრივი სტრუქტურების რღვევა მოჰყვა. 1992 წელს, აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონიდან გაქცეული და გაძევებული, დაახლოებით 10.000 იძულებით გადაადგილებული ადამიანი, წყალტუბოს სასტუმროებში, სანატორიუმებსა და სხვა დასასვენებელ სახლებში შესახლდა. ახალგაზრდა დოკუმენტალისტი იოსებ ციბაძე, ამ პოლიტიკურ გარდატეხას და ქალაქის ცხოვრებაში მასთან დაკავშირებულ ცვლილებებს პოეტური დაკვირვებით იღებდა. ეს ჩანაწერები, რეგიონში მცხოვრები საზოგადოების ხელახალ შეხვედრასა და ორგანიზებას გვიჩვენებს. გადაღებების წამყვანი ჟურნალისტი, დიანა ციბაძე ყველა სურათზე ჩანს, წყალტუბოს მოსახლეობასთან საუბრობს; მუდმივად ჩნდება კადრში როგორც გვერდით მდგომი, ან კითხვის დამსმელი ფიგურა.

„გაკეთე რამე ამისგან!“, მეუბნება ციბაძე, როდესაც მასალას გადმომცემს.

კარადა მის სამუშაო ოთახში ჩაკეტილია. აქ ვიდეო კასეტები დევს: 89 ცალი, თითოზე 3 საათიანი მასალაა ფილმისთვის. თანამშრომლობის შესახებ ხელის ჩამორთმევით ვთანხმდებით. შეთანხმების თანახმად, 2018 წლის განმავლობაში, იოსებ ციბაძეს, ფილმის მასალის საკუთარი ხელით გაციფრულება შეუძლია (კულტურის ფონდ თურგაუს *Kulturstiftung Thurgau* ფინანსური მხარდაჭერით). 2019 წლის გაზაფხულზე მყარ დისკს ვიღებ. დოკუმენტების დალაგების სამუშაო იწყება. მასალა იმდენად მრავალფეროვანი და მდიდარია, რომ დაკვირვებული მწერა სჭირდება. აზრთა ხშირ გაცვლა-გამოცვლას ნაცნობ ქართველებთან ახალ მიგნებებამდე მივყავარ. ეს კი მეხმარება, რომ შორიდანაც შემექმნას ზოგადი წარმოდგენა 90-იანი წლების დასაწყისიდან, საქართველოს საზოგადოების ხელახალი პოზიციონირების შესახებ.

ჩვენება თურგაუში 2019

საჩვენებლად პირველი, სრული მასალის შესავალი - ოტია იოსელიანის 1997 წელს ჩაწერილი ინტერვიუ, 2019 წელს თურგაუს ჩვენებაზე იყო წარმოდგენილი. ამ ინტერვიუში ოტია იოსელიანი ქართულ ენის შესახებ საუბრობს, რომელსაც ახალი სახელმწიფო კანონის მიხედვით განსაკუთრებული დაცვა სჭირდებოდა. მასალა უკვე ციბაძის მიერ იყო დამონტაჟებული და ამავე ფორმით ნაჩვენები. სინქრონული ხმა (საშა შეფკე), თარგმანთან (მარიკა ლაფაური-ბურკი და რობინ ბურკი) ერთად

სამსახიობო დანამატია. აუდიო - მხატვრული აქტი, და ვიზუალური - სუბტიტრები (გუნნარ ფლაიშერი) მასალის გაგებისა და მოხელთებისთვისაა საჭირო; იმისთვის, რომ ჩვენი ისტორიულ-გეოგრაფიული დაშორებიდან მისი გაგება შევძლოთ. „ამ რაოდენობის სურათებთან შეხვედრას მხოლოდ იუმორით შეიძლება მიუდგე. ჩვენ კი საკმარისი ვნახეთ და სიამოვნებით მოვიტოვებდით უკან“, მეუბნება მეგობარი თბილისიდან.

ახალი ამბები წყალტუბოდან

დაკარგული ობიექტივი ყველა საზოგადოებისთვის დამახასიათებელი, განმეორებადი ფენომენია. ზოგი მას მალევე პოულობს, სხვებს მეტი დრო სჭირდებათ - ცხოვრობენ რა პოლიტიკური გარდაქმნების მყიფე დროში, რომელიც უამრავ წინაღობას უკავშირდება, გათავისუფლებულნი ან პირიქით ახალი იძულების ქვეშ მყოფნი. იოსებ ციხაძის ფილმის მასალა, ამ ფენომენის მცირე და ამავდროულად არსებითი ნაწილების მოხელთების და მის არსში წვდომის შესაძლებლობას იძლევა.